შპს "ილგო"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

საანგარიშო პერიოდი 01.01.2018_31.12.2018

ქართულ ლარში

აქტივები	31 დეკემბერი 2018 წ.
გრძელვადიანი აქტივები	
ძირითადი საშუალებები	170,483.49
არამატერიალური აქტივები	618.66
სულ გრძელვადიანი აქტივები	**171,102.15**
მიმდინარე აქტივები	
მარაგები	22,398.37
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	402,958.70
წინასწარ გადახდილი გადასახადები	0.00
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	0.00
სხვა აქტივები	0.00
ფული და ფულის ექვივალენტები	119,233.31
სულ მიმდინარე აქტივები	**544,590.38**
სულ აქტივები	**715,692.53**

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	25,000.00
გაუნაწილებელი მოგება	144,828.67
სულ კაპიტალი	**169,828.67**
გრძელვადიანი ვალდებულები	
სესხები	216,336.99
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**216336.99**
მოკლევადიანი ვალდებულებები	
სესხები	0.00
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	326,424.38
მიღებული ავანსები	0.00
საგადასახადო ვალდებულებები	3,102.49
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**329,526.87**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**715,692.53**

-

დირექტორი: შოთა გიორგაძე

შპს "ილგო"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
საანგარიშო პერიოდი 01.01.2017_31.12.2017
ქართულ ლარში

აქტივები

	31 დეკემბერი 2017 წ.
გრძელვადიანი აქტივები	
ძირითადი საშუალებები	186,663.96
არამატერიალური აქტივები	765.74
სულ გრძელვადიანი აქტივები	**187,429.70**
მიმდინარე აქტივები	
მარაგები	60,875.49
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	219,462.23
წინასწარ გადახდილი გადასახადები	4,494.66
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	0.00
სხვა აქტივები	0.00
ფული და ფულის ექვივალენტები	153,244.11
სულ მიმდინარე აქტივები	**438,076.49**
სულ აქტივები	**625,506.19**

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	25,000.00
გაუნაწილებელი მოგება	107,934.70
სულ კაპიტალი	**132,934.70**
გრძელვადიანი ვალდებულები	
სესხები	193,138.10
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**193138.1**
მოკლევადიანი ვალდებულებები	
სესხები	0.00
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	299,433.39
მიღებული ავანსები	0.00
საგადასახადო ვალდებულებები	0.00
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**299,433.39**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**625,506.19**

-

დირექტორი: შოთა გიორგაძე

შპს "ილგო"

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშო პერიოდი 01.01.2018_31.12.2018

ქართულ ლარში

	2018 წელი	
საოპერაციო შემოსავალი	2220449.30	
საოპერაციო ხარჯები	-1883101.62	
საერთო მოგება	**337347.68**	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-267579.68	
საოპერაციო მოგება	69768.00	
ფინანსური ხარჯები	-18028.33	
წმინდა საკურსო ზარალი	-24.58	
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	-14821.12	
მოგება(ზარალი) დაბეგვრამდე	36893.97	
მოგების გადასახადი		
წლის მოგება	36893.97	
წლის სხვა სრული შემოსავალი	0	
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	36893.97	(0)

დირექტორი: შოთა გიორგაძე

შპს "ილგო"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშო პერიოდი 01.01.2018_31.12.2018

	2018 წელი
საოპერაციო საქმიანობა	
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	2433239.45
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-2387956.20
სხვა	3395.14
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	**48678.39**
გადახდილი გადასახადები	-75435
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**-26756.61**
საინვესტიციო საქმიანობა	
მიღებული პროცენტი	67.22
მიღებული დივიდენდები	0.00
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	**67.22**
საფინანსო საქმიანობა	
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განაღდებიდან	0.00
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	642856.00
სესხის ძირის გადახდა	-619682.78
სესხის პროცენტის გადახდა	-18028.33
დივიდენდების გადახდა	0.00
სხვა	-12466.30
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	**-7321.41**
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	**-34010.80**
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	153244.11
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	**119233.31**

-

დირექტორი: შოთა გიორგაძე

შპს „ილგო “

ფინანსური ანგარიშგება **2018** წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით

განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს ,,ანდანი“ (შემდგომში ,,კომპანია“) დაფუძნდა 2010 წელს. კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა შოკოლადით, ნაყინით, ყავით, მაკარონით და სხვა საკვები პროდუქტებით.

იურიდიული მისამართია: რუსთავი, რჩეულიშვილის ქ. 9

საქმიანობის ადგილი*:* რუსთავი, მე-19 მკრ-ნი, კორპ. 1 მიმდ. ტერიტორია

კომპანიის მფლობელი არის: შოთა გიორგაძე - 100%-იანი წილით.

ძირითადი საქმიანობა: შოკოლადის ნაწარმისა და ნაყინის დისტრიბუცია.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში (,,ლარი“).

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი მონეტარული აქტივებისთვის გამოიყენებოდა შემდეგი გაცვლითი კურსები: 1 აშშ დოლარი- 2.6766 ლარი (2017: 1 აშშ დოლარი - 2.5922 ლარი). 1 ევრო - 3.0701. ლარი (2017: 1 ევრო -3.1044 ლარი).

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მეთოდების შეჯამება

მომზადების საფუძველი: წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგრიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) თანახმად, რომელიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ამონაგები საქონლის (მომსახურების) რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

სხვა შემოსავალი აღიარდება, როდესაც შემოსავლის თანხის ოდენობა შესაძლოა შეფასდეს საიმედოდ და ამასთან სავარაუდოა, რომ კომპანია მიიღებს სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს.

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე და აღიარდება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მოხდა ხარჯების გაწევა და სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი გავა კომპანიდან;

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი.

ფული და ფულის ექვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების ანარიცხების გამოკლებით, როდესაც ეს არის საჭირო მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. ძირითადი საშუალებების ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება, ხოლო გამოცვლილი ნაწილი ჩამოიწერება.

ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების ნარჩენ საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

ძირითად საშუალებებზე ცვეთა გამოითვლება შემცირებული ნაშთის მეთოდის გამოყენებით :

- კომპიუტერები და სხვა აღჭურვილობა წლიური - 20%
- მანქანა-დანადარები წლიური - 20%
- შენობები - წლიური 5%

სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში შეცვლა ხდება, ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს აქვს სასრული მომსახურების ვადა და პირველ რიგში მოიცავს კომპიუტერულ პროგრამებს. შეძენილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები კაპიტალიზირდება მათ შესაძენად გადახდილი თანხის და მათ სამუშაო მდგომარეობამდე მიყვანის ხარჯების შესაბამისად. განვითარების ხარჯები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება კომპანიის მიერ კონტროლირებად იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამებს, აღირიცხება როგორც არამატერიალური აქტივები, თუ დამატებითი სარგებელი გადააჭარბებს სავარაუდო ხარჯებს.

კაპიტალიზირებული ხარჯები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების გუნდის პერსონალის ხარჯებს და მნიშვნელოვანი ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს. კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფის ყველა სხვა ხარჯები, მაგ. მისი შენახვის ხარჯი, აღიარდება ხარჯად, როდესაც ხდება ამ ხარჯის გაწევა. კომპიუტერული პროგრამები ამორტიზირდება შემცირებული ბალანსის მეთოდით წელიწადში 15%.

საოპერაციო იჯარა როდესაც კომპანია არის მოიჯარე და როდესაც მეიჯარესგან უფლების გადაცემისას მასზე მთლიანად არ ხდება ყველა რისკის და სარგებლის გადასვლა, იჯარის არსებობის

მთელ პერიოდზე, მთლიანი საიჯარო გადახდების აღიარება ხდება წრფივი მეთოდით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მიღებული სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98_1-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ნაღდი(უნაღდო) ანგარიშწორებით ან ჩვეულებრივი სარკრედიტო პირობით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსბობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში (ქართულ ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯში.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

- საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ პერიოდში 2019 წლის 1 ოქტომბრამდე კომპანიამ სრულად დაფარა გრძელვადიანი სესხი უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარში);
- საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ 2019 წლის 1 ოქტომბრამდე კომპანიამ გაყიდა რამდენიმე მოძველებული სატრანსპორტო საშუალება. მათი ჩანაცვლება არ მომხდარა სხვა სატრანსპორტო საშუალებებით.
- საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ, 2019 წლის მეორე ნახევარში კომპანიამ შეწყვიტა საბითუმო ვაჭრობა შოკოლადის ნაწარმით და საქმიანობის ძირითადი მიმართულება გახდა ყავისა (დაფქული და მარცვალი) და ნაყინის დისტრიბუცია.
- სხვა მნიშვნელოვან ცვლილებებს საანგარიშო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია.